ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4448966

ნომერი: AR1667694

თარიღი : 13.03.2019

გაცემის თარიღი : 05.04.2019

გაცნობის თარიღი : 05.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსიძე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რობიზონ გეთიაშვილი პ/ნ 01014005996
- თბილისი, ლ.ანდრონიკაშვილის ქ. N23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 13 მარტს №AR1667694 განცხადებით მომართა რობიზონ გეთიაშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა სახურის

2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთნ დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ალექსიძე, კერძო საკუთრებაშიარსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.034.002), მრავალფუნქციური შენობის (სასტუმრო და მრავალბინიანი), კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2018 წლის 01 ნოემბრის №4245163 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით.

სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4308097 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2018 წლის18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებაში და საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა 1121.7 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 1269.75 კვ.მ, დამხმარე ფართობად 218.71 კვ.მ, კომერციული ფართობად 250.52 კვ.მ, საერთო ფართობად 10229.08 კვ.მ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2018 წლის 14 ნოემბრის №AR1644123 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი განმარტავს, რომ სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად ითხოვს სასტუმროს ნომრების ფართობად 942.08 კვ.მ-ის ნაცვლად 948.2 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 10229.08 კვ.მ-ის ნაცვლად 10235.2კვ.მ დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: სასტუმროს ნომრების ფართობად დაფიქსირდეს 948.2 კვ.მ, საერთო ფართობად 10235.2 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებით შეთანხმებული +3,60 ნიშნული გეგმა ჩანაცვლდეს 2019 წლის 13 მარტს №AR1667694 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 და 2018 წლის 17 დეკემბრის №4308097 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.